



## დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

### განკარგულება #9

2016 წლის 11 აპრილი

ქ. დუშეთი

**დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების - მდებარე დაბა ჟინვალში ადმინისტრაციული შენობის (ს/კ 71.52.03.081) პირველ სართულზე, 20კვ.მ საოფისე ფართის სარგებლობაში, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადასაცემად დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, ამავე კოდექსის 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. მიეცეს თანხმობა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების - მდებარე დაბა ჟინვალში ადმინისტრაციული შენობის (ს/კ 71.52.03.081) პირველ სართულზე, 20კვ.მ საოფისე ფართი სარგებლობაში, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადასცეს ფ/პ ნატო ფრიდონაშვილს.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 11 მარტის №4 განკარგულება.
3. განკარგულება გასაცნობად გადაეგზავნოს გამგეობას და ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ლაფანაშვილი